ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის“ გამგეობის სხდომის

ოქმი N2/26

(05.03.2026 წ.)

ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის“ გამგეობის სხდომა გაიმართა ონლაინ საკომუნიკაციო საშუალების (WhatsApp; ჯგუფი - „UFGM გამგეობა“) გამოყენებით.

სხდომას ესწრებოდა გამგეობის ყველა წევრი:

- პრეზიდენტი/წევრი: ირაკლი ჟღენტი;
- ვიცე პრეზიდენტი/წევრი: გიორგი გოცირიძე;
- წევრი: მამუკა ნიკოლაძე;
- წევრი: გიორგი კახაბრიშვილი;
- წევრი: ავთანდილ ცინცაძე;
- წევრი: ბაქარ გელაშვილი;
- წევრი: გიორგი ნიგურიანი.

გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია.

სხდომის თავმჯდომარე: პრეზიდენტი/წევრი - ირაკლი ჟღენტი.

სხდომის მდივანი: გენერალური მდივანი/აღმასრულებელი დირექტორი - ნატო მარანელი.

<u>**დღის წესრიგის საკითხები:**</u>

1. ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის“ 2026 წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის ფორმირება და დამტკიცება. ხმის მიცემისას ინტერესთა კონფლიქტის საკითხი.

   <u>შენიშვნა:</u> ფედერაციაში შემოსული 2026 წლის დაფინანსების მოთხოვნების განხილვის შედეგად, შემუშავებულ იქნა და მოცემულ სხდომაზე კენჭისყრისთვის წარდგენილ იქნა სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის 2 ვერსია: 1. ფედერაციის პრეზიდენტის/გამგეობის წევრის - ირაკლი ჟღენტის ვერსია და 2. გამგეობის წევრის - ბაქარ გელაშვილის ვერსია. სხდომაზე გამგეობა ამ ორ ვერსიას უყრის კენჭს.

2. საწევრო თანხების განკარგვა.

<u>**მოისმინეს:**</u>

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

1. ირაკლი ჟღენტმა გამოთქვა მოსაზრება/რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ მიუხედავად ფედერაციის წესდებით შეზღუდვის არარსებობისა, თუ ვინმეს ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი დასამტკიცებელ კალენდართან დაკავშირებით (პირადი ინტერესის არსებობა, ანაზღაურება ან რაიმე სარგებლის მიღება), დაეფიქსირებინა აღნიშნულის თაობაზე და თავი შეეკავებინა ხმის მიცემისაგან;

2. ირაკლი ჟღენტმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა საერთო ბიუჯეტიდან სახელფასო ანაზღაურებების პროცენტულად ასეთი დიდი წილით ბიუჯეტის განაწილებას და პრიორიტეტად მიაჩნდა შემლებისდაგვარად მეტი სხვა და სხვა ჯგუფის დაფინანსება. არსებული შედეგებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, მან გამოყო რამდენიმე

პრიორიტეტული საკითხი, რომლის ხელშეწყობა არსებითად მნიშვნელოვნად მიაჩნდა. მათ შორის:

- ბიძინა გუჯაბიძის სასწავლო ჯგუფების დაფინანსება;
- ქალთა ალპური სკოლის (სოფიო ჭელიძე) ღონისძიებების დაფინანსება, რომლის წევრთა რაოდენობა 200 აღწევს;
- მარიამ გელაშვილის დაფინანსება, რომლის ასვლამ მაია სიჭინავასთან ერთად მწვერვალ უშბაზე მნიშვნელოვანი პიარ წარმატება მოიტანა სპორტის პოპულარიზაციისთვის, რაც მნიშვნელოვნად დადებითად აისახა ფედერაციის სიციალური გვერდების აქტივობაზე.
- გორის კლუბი ტონთიოს დაფინანსება
- გელა ოთარაშვილის უშბისა და შხარის ექსპედიციების (სპორტული ასვლები/დოკუმენტური ფილმის გადაღება) დაფინანსება.

3. ირაკლი ჟღენტმა გამგეობას შესთავაზა ყოველკვარტალურად, გასული კვარტალის შედეგების მიხედვით, გამგეობის მიერ კალენდრის გადახედვა და შესაბამისად დაკორექტირება.

4. გამგეობის წევრის ბაქარ გელაშვილის შენიშვნები შერჩეულ რიგ ღონისძიებებთან დაკავშირებით ასახულ იქნა მის მიერ შემოთავაზებულ კალენდრის ვერსიაში.

დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით:

1. ირაკლი ჟღენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საწევრობად შემოსული თანხა პრიორიტეტულად გადანაწილდეს იმ ჯგუფებზე, რომელთაც ეს თანხა შემოიტანეს და ამ პრინციპის დაცვით ფედერაციის პრეზიდენტს მიენიჭოს განაწილების/გამოყენების უფლებამოსილება. მან მაგალითად მოიყვანა სკიმოს წევრების მიერ შემოტანილი საწევროები, რომლებიც მათივე ღონისძიებებს მოხმარდებათ.

გამგეობამ დღის წესრიგში დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, შემდეგი შედეგებით:

<u>**გადაწყვეტილება**</u>

საკითხი 1. 2026 წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის 2 ვერსიიდან 1-ის შერჩევა. ინტერესთა კონფლიქტი.

კენჭისყრაზე წარდგენილი ვერსიები:

1. ფედერაციის პრეზიდენტის - ირაკლი ჟღენტის ვერსია;
2. გამგეობის წევრის - ბაქარ გელაშვილის ვერსია.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობა არც ერთი გამგეობის წევრის მიერ არ იქნა გამოთქმული.

ხმები შემდეგნაირად განაწილდა:

1. ირაკლი ჟღენტის ვერსიას მხარი დაუჭირეს გამგეობის შემდეგმა წევრებმა: ირაკლი ჟღენტი და მამუკა ნიკოლაძე (სულ - 2 ხმა);

2. ბაქარ გელაშვილის ვერსიას მხარი დაუჭირეს გამგეობის შემდეგმა წევრებმა: ბაქარ გელაშვილი, გიორგი კახაბრიშვილი, ავთანდილ ცინცაძე და გიორგი ნიგურიანი (სულ - 4 ხმა).

გამგეობის წევრმა გიორგი გოცირიძემ თავი შეიკავა ხმის დაფიქსირებისგან.

<u>გადაწყვეტილება:</u>

მოცემული შედეგების გათვალისწინებით, გამგეობის მიერ დამტკიცებულ იქნა 2026 წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის მე-2 ვერსია (ბაქარ გელაშვილის). ამასთან, გამგეობა ერთხმად შეთანხმდა, რომ ყოველკვარტალურად, გასული კვარტალის შედეგების გათვალისწინებით მოხდება მოცემული კალენდარული გეგმის გადახედვა და შესაბამისი დაკორექტირება.

საკითხი 2. საწევრო თანხების განკარგვა.

გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

<u>გადაწყვეტილება:</u>

საწევრობად შემოსული თანხები პრიორიტეტულად განაწილდეს იმ ჯგუფებზე, რომელთაც ეს თანხა შემოიტანეს. ამასთან, ფედერაციის პრეზიდენტს ირაკლი ჟღენტს მიენიჭოს ამ თანხების შესაბამისი პრინციპით განაწილების/გამოყენების უფლებამოსილება საკუთარი შეხედულების მიხედვით.

<u>დანართი:</u>

1. სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის 1-ლი ვერსია (ირაკლი ჟღენტის ვერსია);
2. სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის მე-2 ვერსია (ბაქარ გელაშვილის ვერსია);

<u>ხელმოწერები:</u>

თავმჯდომარე: ირაკლი ჟღენტი ----------

სხდომის მდივანი: ნატო მარანელი ----------

დანართი 1 - ირაკლი ჟღენტის ვერსია

ა(ა)იპ საკარიერლის მთამსველლია გაერთიანებული ფედერაცია - 2026 წელი		I	II	III	IV	ხელ
	ხელ ჯამი	540,611.06	97,562.98	41,912.98	69,912.98	750,000.00
1	**ფიზიბპირები** (მეუღლეებები, მეკრეტები, ხელნარები, კონტრაქტები, კონტრაქტიორები) **და მათთან დაკავშირებული ხარჯები** (მრთობის ანაზღაურება, ოკარაქტორებისა, სხვადასხვა საკონტალო/მომსახურების მეშვეობით და ყველა ის სხვა ხარჯი, რაც დაკავშირებულია კონტრაქტულ ფიზიბიფესთან)	498,318.68	-	-	-	498,318.68
1	ტონნიო	10,000.00				10,000.00
2	ინაუ	36,000.00				36,000.00
3	ყელი ოთარაშელი - ფილის გადადება	14,262.55				14,262.55
4	მარიან ყელაშვილი	3,000.00				3,000.00
5.1	სოფო - ჰაუხი (#3)	10,000.00				10,000.00
5.2	სოფო - მეინვარწყვი (#4)	5,000.00				5,000.00
6.0	სამსონაძე - ეშმა	2,000.00				2,000.00
7.1	ქეთევანი - ჰაუხი (აღმაშენებლის კვეტელი, სიმფალეს - #1)	1,700.00				1,700.00
7.2	ქეთევანი - ჰაუხი ბერსაჰირი (#2)	1,650.00				1,650.00
7.3	ქეთევანი - ეშმა (#3)	2,830.00				2,830.00
7.4	ქეთევანი - ზმარა (#4)	3,050.00				3,050.00
8.0	ალეკარიძე - ჰაუხი	8,000.00				8,000.00
9	თორთლაძე - ყირგიზეთი	12,035.13				12,035.13
10.1	ფანიოძე - თეთრეღლები (#2)	735.00				735.00
10.2	ფანიოძე - ეშმა, ჩათინი (#3)	1,320.00				1,320.00
10.3	ფანიოძე - ალეთა (#4)	785.00				785.00
12.1	ბიძინა - ჰაუხი	30,000.00				30,000.00
12.2	ბიძინა - ეშმა	10,000.00				10,000.00
13	ალექა - ტაკალეთი, ჰაბირი	32,500.00				32,500.00
14.1	ციმაძე - სვანეთი ზუსხი (#2)	3,000.00				3,000.00
14.2	ციმაძე - ჰაუხი (#3)	1,500.00				1,500.00
15	ეკანაძე - ლენინის პიკი	50,000.00				50,000.00
16	ბეგანა - ვალოდია ქერსანდეთანი	7,000.00				7,000.00
17	ალიიაშვილი - ხან-ტენგრი	18,750.00				18,750.00
19.1	კვესტიან - ჰიათენა, სვერი	3,500.00				3,500.00
19.2	კვესტიან - თერეზეთი, მონტენეგრო	20,000.00				20,000.00
19.3	კვესტიან - ინდოეთი, კიაზის ალპური ბანაკი	5,000.00				5,000.00
19.4	კვესტიან - ჰაუხი	10,000.00				10,000.00
19.5	კვესტიან - ვაზბეგი (ორნვერი, მეინვარწყვი, ვერეკეთის მეინვარი)	5,000.00				5,000.00
19.6	კვესტიან - ალპები, სიფრანგეთი	11,500.00				11,500.00
20.1	სკოლა - ჰაუხი (სავეტური 1)	38,450.00				38,450.00
20.2	სკოლა - მეინვარწყვი, ორნვერი - ალეხანო-სეტტეგეტი (სავეტური 1)	17,295.00				17,295.00
20.3	სკოლა - ზამთრის ვაზბეგი (სავეტური 1)	34,400.00				34,400.00
20.4	სკოლა - ვაზბეგი (მარტი) (ზედა სავეტური)	9,600.00				9,600.00
20.5	სკოლა- ჰიათენა (აპრილი-მაისი) (ზემო სავეტური)	7,000.00				7,000.00
20.6	სკოლა - ჰაუხი (ზედა სავეტური)	39,950.00				39,950.00
20.7	სკოლა - თეთრეღლი, ჩრ. ეშმა	25,000.00				25,000.00
20.8	სკოლის კოორდინატორის ხელფასი	6,506.00				6,506.00
2	**სპორტული ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული ხარჯები** (მრთობის ანაზღაურება, ოკარაქტორებისა, სხვადასხვა საკონტალო/მომსახურების მეშვეობით ამ'დგი ყველა ის სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სპორტული ორგანიზაციის მართვასთან)	42,292.38	94,912.98	41,912.98	69,912.98	249,031.32
2.1	ადმინისტრაციული ხელფასები	24,979.00	25,759.60	25,759.60	25,759.60	102,257.80
2.2	სპორტული ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული ხარჯი (დოკუმენტ/პოსტერები, ინვოილი, დასუფთავება)	1,160.00				1,160.00
2.3	ვეზეკერდინა და სოციალური პრაფიორმების მართვა / ხოც. მეჯდა მომსახურება	7,515.00	7,515.00	7,515.00	7,515.00	30,060.00
2.4	საოჯარო ქონა/ ოფისის მოწყობა	8,638.38	8,638.38	8,638.38	8,638.38	34,553.52
2.5	სპორტული ინვენტარი/ აღჭურვილობა/ ტანსაცმელი / ტექნიკა		50,000.00			50,000.00
2.6	სასწავლო სემინარების ორგანიზება		3,000.00			3,000.00
2.8	საერთაშორისო ვიზიტები				20,000.00	20,000.00
2.9	მეშუალეთელი სადამი/დაეკლდოეა				8,000.00	8,000.00
3	**საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების საწევროები**	0.00	2,650.00	0.00	0.00	2,650.00
3.1	მთამსველლობის საერთაშორისო ორგანიზაციის საწევრო (www.theuiaa.org)		2,650.00			2,650.00

დანართი 2 - ბაქარ გელაშვილის ვერსია

1	თ.ს.უ - ოთარ თათრაშვილი	36000 ლ.
2	სოფო ჭელიძე- სავარჯიშო შეკრება ჭაუხში	7000 ლ.
3	თეიმურაზ სამსონაძე. უშბის ტრავერსი	2000 ლ.
4	თემურ ქურდიანი-ჭაუხი(აღმაშენებლის კედელი)	1700 ლ.
5	თემურ ქურდიანი-ჭაუხი(ბურსაჭირი)	1650 ლ.
6	თემურ ქურდიანი- უშბა	2830 ლ.
7	თემურ ქურდიანი- შხარა	3050 ლ.
8	თემურ ქურდიანი- დრაითულინგის პროექტი	15500 ლ.
9	ავთო ჯაფარიძე- ჭაუხი	15000 ლ.
12	ავთო ჯაფარიძე- ჭიათურა	5000 ლ.
13	გია თორთლაძე- ყირგიზეთი	12300 ლ.
14	ზაალ ებანოიძე- ქვემო სვანეთის ექსპედიცია	1260 ლ.
15	ზაალ ებანოიძე- თეთნულდი	735 ლ.
16	ზაალ ებანოიძე-ჩრდილოეთ უშბის კლასიკური გზა	1320 ლ.
17	ზაალ ებანოიძე- ჭაუხი(ზამთრის ექსპედიცია, ჯავახიშვილი)	785 ლ.
18	ბიძინა გუჯაბიძე- ჭუხი	25000 ლ.
19	თეიმურაზ ციბაძე- სვანეთი	2000 ლ.
20	თეიმურაზ ციბაძე - ჭაუხი	1500 ლ.
21	რამაზი ჯიქია- სასიმაღლო ექსპედიცია,შუა აზია	32500 ლ.
22	ირაკლი კაპანაძე- ლენინის პიკი	50000 ლ.
23	გვანცა ბენდელიანი- ალპინიადა	7000 ლ. ?
24	ბესიკ ჯინიყაშვილი- სასიმაღლო ექსპედიცია,ხანტენგრი	18750 ლ.
25	ბესიკ ჯინიყაშვილი- სვანეთი	2300 ლ.
26	ზურაბ კვესტაძე- ალპები	11500 ლ. ?
27	ზურაბ კვესტაძე- ინგუშეთი	5500 ლ.
28	ზურაბ კვესტაძე- ჭაუხი	10000 ლ.
29	ზურაბ კვესტაძე- ყაზბეგი	5500 ლ.
30	ზურაბ კვესტაძე- ჭიათურა	3500 ლ.
31	მარიამ გელაშვილი-სვანეთი	3000 ლ. ?
32	ტონთიო- ალპინიადა	7000 ლ.
33	სკოლა	208810 ლ
	ჯამი	500 000 ლ.

შენიშვნა:

. სკოლა:

- ბოტანიკურში ვარჯიშები ჩატარდება ინსტრუქტორების ანაზღაურების გარეშე.(10 დღე- დანაზოგი**: 5600 ლ.)**
- ჭიათურის დამწყებთა შეკრება ჩატარდება, ინსტრუქტორების ანაზღაურების გარეშე.(5 დღე- დანაზოგი 4200 ლ.)

. ზურაბ კვესტაძე,საფრანგეთი: 11500 ლ?

- კვესტაძე 11500? დაფინანსდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთამდე გუნდი გაივლის ორ- 5ბ კატეგორიის და ერთ 6ა კატეგორიის, ალპურ სტილში ალპინიატური მარშტუტებს.

. მარიამ გელაშვილი, სვანეთი- 3000 ლ?

- დაფინასდეს, როდესაც მოხდება ხელმძღვანელის და მონაწილეების გარკვევა. რამდენად გამოცდილები არიან შხარაზე ექსპედიციისთვის?

. გვანცა ბენდელიანი 7000 ლ. ?

- გასარკვევია ვინ არიან ინსტრუქტორები ?